




სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო  
NATIONAL FORENSICS BUREAU

# ექსპერტის დასკვნა FORENSICS REPORT




თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84  
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ა  
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162  
2a I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600  
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000



სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო  
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5001437726  
13/03/2026



5001437726

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს დირექტორს ბნ ირაკლი კიკვაძეს

ბატონო ირაკლი,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N02-19/57 მომართვის (ბიუროს 2026 წლის 27 თებერვლის რეგისტრაციის N1001703026) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N001693726 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 07 ფურცლად;

პატივისცემით,

ირაკლი ლიჩელი

ბიუროს უფროსის მოადგილე



5001437726

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,  
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი

თარიღი

13.03.26



(ხელმოწერა) ბ.ხ.



001693726

ექსპერტის დასკვნა № 001693726

### გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმეორება ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საქსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

### ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

#### დამნიშნავი:

ორგანიზაცია: სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო

თანამდებობა: დირექტორი

მისამართი:

სახელი და გვარი: ირაკლი კიკვაძე

საფუძველი: მომართვა

#### შემსრულებელი ექსპერტები:

ალექსანდრე ფეიქრიშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 6 წლის სტაჟით.

### ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, ჩატაროთ საინჟინრო ექსპერტიზა და დაადგინოთ ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობის სახურავის, ტექნიკური მდგომარეობა (მის: ქ.ბათუმი, მემედ აბაშიძის ქ.№41), შენობის სახურავის ავარიულობის ხარისხი და მოგვცეთ რეკომენდაციები შემდგომი ექსპლუატაციისათვის, კერძოდ, მოცემულ ეტაჟზე რეკომენდირებულია თუ არა შენობა ან/და მისი ნაწილი გამოყენებული იქნეს სამუშაო სივრცედ.

შემოსვლის თარიღი: 27/02/2026 წ

გასვლის თარიღი: 13/03/2026 წ

### დასკვნა

ქ.ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ.№41-ში მდებარე, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს შენობის დაზიანებები II-III ხარისხისაა. სასხვენო გადახურვის ცალკეული მონაკვეთები ექსპლუატაციისათვის საფრთხის შემცველია. საკვლევ შენობაზე არსებული დაზიანებები ძირითადად გამოწვეულია ატმოსფერული ნალექების უარყოფითი ზემოქმედებით, ასაკობრივი ცვლით და ტექნიკური მოუვლელობით. კაპიტალურობის მიხედვით შენობა განეკუთვნება III ჯგუფს და მისი გამოსადეგობის ვადა შეადგენს 100 წელს, რომელიც პრაქტიკულად ამოწურულია, თუმცა ვინაიდან დაზიანებები ძირითადად გამოწვეულია ფიზიკური ცვლით, რეკომენდირებულია საძირკველში, წყლის ჩაჟონვის მაპროვოცირებელი ფაქტორების აღმოფხვრა, შემდგომ შენობაზე დაკვირვება, ხოლო დაზიანებების პროგრესირების შემთხვევაში, შესაბამისი აღდგენა/გამლიერებითი სამუშაოების ჩატარება. ვინაიდან შენობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, მისი შენარჩუნება და აღნიშნული სამუშაოების ჩატარება, რენტაბელური და პრიორიტეტული იქნება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შენობის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა/გამლიერებითი სამუშაოების განხორციელებამდე, აღნიშნული შენობის ან/და მისი დაზიანებული ნაწილების აქტიურ სამუშაო სივრცედ გამოყენება (პერსონალის მუდმივი განთავსება) მიზანშეწონილი არ არის, რადგან შეიცავს უსაფრთხოების რისკებს.



001693726

ალექსანდრე ფეიქრიშვილი

### გამოკვლევა

2026 წლის 4 მარტს ვიზუალურად შესწავლილი იქნა, ქ.ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ.N41-ში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა.

ქ.ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ.N41-ში მდებარე შენობა სავარაუდოდ აშენებულია XX საუკუნის პირველ ნახევარში (ფოტო 1 ... 4). მასზე სხვადასხვა წლებში დამატებით მიშენებულ იქნა ნაწილები, რომელიც ორი სართულისაგან შედგება, ხოლო თავდაპირველი შენობა სამსართულიანია (მანსარდის სართულით). განთავსებულია სწორ რელიეფზე და გადაწყვეტილია მზიდი კედლების ვარიანტში, საძირკვლებს სავარაუდოდ წარმოადგენს ლენტური ტიპის ქვის კონსტრუქცია, გაბარიტები უცნობია. გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა, გაბარიტული ზომებით დაახლოებით 38.0x20.0 მ. სართულის მიახლოებითი სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე 3.6 მ-ია, კედლების სისქე 40-50 სმ-ია და ამოყვანილია წვრილი ბლოკის წყობით. სართულშუა და სასხვენო გადახურვა ძველ ნაწილზე მოწყობილია, ხის კონსტრუქციებით, ხოლო მიშენებული ნაწილი შესრულებულია მონოლითური რკ/ბეტონით. შენობას არ გააჩნია რკინა-ბეტონის ანტიისეისმური სარტყელი. სახურავი ოთხქანობიანია და შესრულებულია თუნუქით ხის ნივნივებსა და მოლარტყვაზე.

2026 წლის 4 მარტის მდგომარეობით ქ.ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ.N41-ში მდებარე შენობის ფასადებზე, ღიობის კუთხეებთან და რაფისქვედა მონაკვეთებში წარმოქმნილია ბეწვისებური ბზარები (ფოტო 5 ... 7). შენობის შიდა სივრცეების უმეტესობა გარემონტებულია, თუმცა დერეფნებსა და ზოგიერთ სათავსში წარმოქმნილია ვერტიკალური ბეწვისებური ბზარები, რომლებიც ვითარდება ქაოტურად მთლიანი შენობის ცალკეულ მონაკვეთებზე (ფოტო 8 ... 16). კედლებზე, ჭერსა და აივნებზე შეინიშნება ატმოსფერული ნალექების ჩამოდინების კვალი (ფოტო 17 ... 21), რის შედეგადაც ხის კონსტრუქციები დაზიანებულია მკალით (ფოტო 22; 23), აღნიშნულის გათვალისწინებით დაზიანებული მონაკვეთების ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია, ვინაიდან არსებობს ცალკეული მონაკვეთების ჩამოშლის საფრთხე. შენობის პერიმეტრზე მოწყობილი შემონაკირწყელი დაზიანებულია რაც ხელს უწყობს ატმოსფერული ნალექების ჩადინებას საძირკველსა და ფუძეში, ამასთანავე მოწყობილი წყალდამშვები მილები ჩაედინება პირდაპირ საძირკვლის მიმართულებით ან დაზიანებულ შემონაკირწყელზე (ფოტო 24), უნდა მოწესრიგდეს შენობის შემონაკირწყელი და წყლის გადაყვანი სისტემა, რათა სამომავლოდ არ მოხდეს დაზიანების პროგრესირება, ატმოსფერული ნალექების საძირკველში ჩადინება, დროთა განმავლობაში იწვევს შენობის ტექნიკური მდგომარეობის გაუარესებას. შუაკედლისების სიგანე 50-60 სმ-ია, რაც ნაკლებია სეისმური ნორმებით დასაშვებ სიგანეზე 80 სმ-ზე. 35 01.01-09 „სეისმომდებელი მშენებლობის“, მუხლი 15, პუნქტი 7-ის მიხედვით, აგურის შენობისათვის აუცილებელ ანტიისეისმურ ღონისძიებას წარმოადგენს სახურავისა და გადახურვების დონეზე (ან მის ქვეშ) გრძივი და განივი კედლების პერიმეტრზე ანტიისეისმური სარტყლის მოწყობა. სარტყელი უნდა მოეწყოს მონოლითური რკინაბეტონისაგან უწყვეტი დაარმატურებით, რაც მოცემულ შენობაში გათვალისწინებული არ არის. დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით დაზიანებები II-III ხარისხისაა, რაც იმას ნიშნავს რომ, შენობის საექსპლუატაციო მედეგობა მნიშვნელოვნად დაქვეითებულია, ტექნიკური მდგომარეობა არადაამაკმაყოფილებელია და საჭიროა დაზიანებული მონაკვეთების დროული აღდგენა/გამაგრება, ამასთანავე რეკომენდირებულია საძირკველში, წყლის ჩაჟონვის მაპროვოცირებელი ფაქტორების აღმოფხვრა, შემდგომ შენობაზე დაკვირვება, ხოლო დაზიანებების პროგრესირების შემთხვევაში, შესაბამისი აღდგენა/გამლიერებითი სამუშაოების ჩატარება, რაც შენობის სტატუსიდან (წარმომადგენლის ინფორმაციით, იგი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს) და არსებული დაზიანებების გათვალისწინებით, რენტაბელურია.

ამრიგად, ქ.ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ.N41-ში მდებარე, სსიპ „საზოგადოებრივი მასშტაბის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს შენობის დაზიანებები II-III ხარისხისაა. სასხვენო გადახურვის ცალკეული მონაკვეთები ექსპლუატაციისათვის საფრთხის შემცველია. საკვლევ შენობაზე არსებული დაზიანებები ძირითადად გამოწვეულია ატმოსფერული ნალექების უარყოფითი ზემოქმედებით, ასაკობრივი ცვლით და ტექნიკური მოუვლელობით. კაპიტალურობის მიხედვით შენობა განეკუთვნება III ჯგუფს და მისი გამოსადგომის ვადა შეადგენს 100 წელს, რომელიც პრაქტიკულად ამოწურულია, თუმცა ვინაიდან დაზიანებები ძირითადად გამოწვეულია ფიზიკური ცვლით, რეკომენდირებულია საძირკველში, წყლის ჩაჟონვის მაპროვოცირებელი ფაქტორების აღმოფხვრა, შემდგომ შენობაზე დაკვირვება, ხოლო დაზიანებების პროგრესირების შემთხვევაში, შესაბამისი აღდგენა/გამლიერებითი სამუშაოების ჩატარება. ვინაიდან შენობა წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, მისი შენარჩუნება და აღნიშნული სამუშაოების ჩატარება, რენტაბელური და პრიორიტეტული იქნება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შენობის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა/გამლიერებითი სამუშაოების განხორციელებამდე, აღნიშნული შენობის ან/და მისი დაზიანებული ნაწილების აქტიურ სამუშაო სივრცედ გამოყენება (პერსონალის მუდმივი განთავსება) მიზანშეწონილი არ არის, რადგან შეიცავს უსაფრთხოების რისკებს.



001693726

ექსპერტის დასკვნა № 001693726

ალექსანდრე ფეიქრიშვილი

### გამოყენებული მასალები

1. წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.
2. СП-13-102-2003.
3. სნწ კნ. 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა".
4. СНиП 2-03. 01-84\* ბეტონისა და რკ/ბ კონსტრუქციები.
5. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხ. და საზ. შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია




001693726

ექსპერტის დასკვნა № 001693726

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5




ფოტო 6



001693726

ექსპერტის დასკვნა № 001693726




ფოტო 7



ფოტო 8



ფოტო 9



ფოტო 10



ფოტო 11



ფოტო 12




001693726


ექსპერტის დასკვნა № 001693726



ფოტო 13




ფოტო 14



ფოტო 15



ფოტო 16



ფოტო 17



ფოტო 18



001693726

ექსპერტის დასკვნა № 001693726



ფოტო 19




ფოტო 20



ფოტო 21



ფოტო 22



ფოტო 23



ფოტო 24

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო  
ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

